საქართველოს პარლამენტის წევრის

ნინო გოგუაძის ვიზიტის

ა ნ გ ა რ ი შ ი

სტოქჰოლმი, შვედეთი

23-25 აპრილი 2019

2019 წლის 23-25 აპრილს, ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდი ქალაქ სტოქჰოლმში, ვიზიტი განხორციელდა ევროპის პარლამენტის პოლიტიკური ჯგუფის „ევროპელი კონსერვატორების და რეფორმისტები“ (ECR) წევრების და ევროპის კონსერვატიული პარტიის მოწვევითა და ორგანიზებით. ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა „ბალტიის ზღვის“ სამიტი, რომელსაც შვედეთის პარლამენტის წევრების მასპინძლობდნენ.

„ბალტიის ზღვის სამიტი“ შეეხებოდა ამ რეგიონისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს - საზღვაო ეკოსისტემა, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“, რუსეთის გავლენა რეგიონში, კიბერ უსაფრთხოება და სხვა.

სამიტზე ჩემი მოხსენებაში ვისაუბრე რუსეთის თანამედროვე საინფორმაციო პოლიტიკის და მისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ, დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებზე ახალ ტექნოლოგიურ სისტემებში და ევროპის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე მათ შესაძლო გავლენებზე. ასევე, საქართველოში ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე, სახელმწიფო პოლიტიკაზე და საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

„ბალტიის ზღვის სამიტში“ მონაწილეობდნენ ევროპარლამენტის წევრები, ევროკავშირის წევრი ქვეყნის პოლიტიკოსები, კვლევითი ორგანიზაციების წამომადგენლები.